საქართველოს მთავრობის განკარგულება

№955 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „დარიალი ენერჯის“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „დარიალი ენერჯის“ შორის დასადები ცვლილების შეთანხმების პროექტი საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „დარიალი ენერჯის“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცვლილების შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი